საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

ოქმი #1

2013 წლის 25 სექტემბერს შედგა აკადემიური საბჭოს სხდომა.

ესწრებოდნენ: თინათინ ჯავახიშვილი, ნანული ხიზანიშვილი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, ავთანდილ ღელაღუტაშვილი, ნინო მოდებაძე,გიული ანდრონიკაშვილი, როინ ჭიკაძე (აკადემიური საბჭოს მდივანი); განსახილველ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები.

თავმჯდომარე - თინათინ ჯავახიშვილი
მდივანი - რ. ჭიკაძე

დღისწესრიგი

სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად, გამოცხადდეს არჩევნები, დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია და დამტკიცდეს ,,არჩევნების გამოცხადების და კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ” განცხადების ტექსტი დანართი №1 შესაბამისად.

2. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ბრძანებით განსაზღვროს შესაბამისი საარჩევნო კომისია.
3. წინამდებარე დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საარჩევნო კომისიას დაევალოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება აკადემიური საბჭოს დავალებების შესაბამისად.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
6. წინამდებარე დადგენილება, დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.თელავი დავით აღმაშენებლის N 43).

7.დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი თინათინ ჯავახიშვილი

დანართი 1

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების და კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ

განცხადება

1. გამოცხადდეს არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად;

2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
   ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
   ბ) სამოქმედო გეგმისა და კონცეპციის წარმოდგენა;

3. რექტორის არჩევნები გამოცხადდეს 2013 წლის 25 სექტემბერს;

4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2013 წლის 25 ოქტომბრის 10:00 საათიდან მისამართი ქ. თელავი ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1 (პირველი სასწავლო კორპუსი ოთახი N33) და დასრულდეს 2013 წლის 31 ოქტომბერს 17:00 საათზე;

5. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის არჩევის დღედ განისაზღვროს 2013 წლის 8 ნოემბერი;

6. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

   ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

   ბ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;

   გ) ავტობიოგრაფია;

   დ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით ¾-ზე;

   ე) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

ვ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.